ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU)

ეთიკის კოდექსი

(შესწორებულია 2008 წლის სექტემბერში)

***GAU**-ს ეთიკის კოდექსი შესრულებულ და რეზუმირებულ იქნა ყველასათვის ხელმისაწვდომი წყაროების საფუძველზე. სპეციალური მითითებები "მასწავლებელთა პატიოსნებისა" და "პროფესორ-მასწავლებლების შემადგენლობის პასუხისმგებლობის" შესახებ ამოღებულია GAU-სთან აფილირებული ამერიკული უნივერსიტეტის ინტერნეტ გვერდიდან. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ეთიკისა კოდექსს (ყველა მის განახლებულ ვერსიას) ხელი უნდა მოაწეროს თითოეულმა სტუდენტმა, ლექტორმა და თანამშრომელმა.*

I. ეთიკის კოდექსი

ეთიკის წინამდებარე კოდექსი წარმოადგენს GAU-ს თანამშრომლების (მათ შორის ლექტორების) და სტუდენტების ეთიკური პრინციპების, ღირებულებებისა და ქცევის ფორმულირებას, ჩამოყალიბებულს შემდეგი დადგენილების სახით:

GAU ახდენს გამჭვირვალობისა და პირდაპირობის, პატიოსნების, წესიერების და პატივისცემის ღირებულებების, მორალური და სოციალური პასუხისმგებლობის და აგრეთვე აკადემიური საკითხების სწავლებას.

კოდექსი მიზნად ისახავს დაეხმაროს თანამშრომლებსა და სტუდენტებს იმ ეთიკური საკითხების გადაჭრასა და დადგენაში, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას მათი მუშაობისა თუ სწავლის პერიოდში. კოდექსი მიმართულია აგრეთვე კოლეგებთან, სტუდენტებთან, უნივერსიტეტთან და ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დაჯგუფებებთან ურთიერთობების დარეგულირებისკენ. წინა პლანზე წამოწეულია ზოგადი პრინციპები და შემდგომ კონკრეტული დირექტივები. კოდექსი გვერდს უვლის, თუმცა სრულად არ გამორიცხავს თანამშრომლებისა და სტუდენტების ზოგადი კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

GAU წარმოადგენს კომპლექსურ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან განსხვავებული ურთიერთობის მქონე ხალხს. ასეთ საზოგადოებაში აუცილებლია, რომ მისი ყველა წევრი იცნობდეს და პატივს სცემდეს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ საზოგადოების სხვა წევრების და თვით უნივერსიტეტის უფლებებსა და ვალდებულებებს.

GAU აღიარებს, რომ მისი თანამშრომლები აგრეთვე ერთგულნი არიან მეცნიერული საზოგადოებებისა თუ შესაბამისი პროფესიული ჯგუფების მიერ განსაზღვრული ეთიკისა და ქცევის წესების მიმართ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. თანამშრომლებსა და სტუდენტებს აგრეთვე შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული რელიგიური მრწამსი და ტრადიციები. ეს წესები და ტრადიციები ყოველთვის არ არის ურთიერთჰარმონიული. შესაბამისად თანამშრომლები და სტუდენტები ვალდებულნი არიან აწონ-დაწონონ ურთიერთდათმობისა და პატივისცემის უდიდესი მნიშვნელობა

ცალკეულ შემთხვევებში და შეატყობინონ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ასეთი კონფლიქტის წამოჭრის შემთხვევები.

ეთიკის კოდექსის სისტემა დაფუძნებულია სამ უნივერსალურ პრინციპზე: ***სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა; ხალხის პატივისცემა; პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა***

I. **სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა**

ხალხი უნდა განიცდიდეს სამართლიან მოქცევას – მიუღებელია ყოველგვარი დისკრიმინაცია, იძულება და ექსპლუატაცია. სამართლიანობა უკავშირდება უფლებათა განაწილებას და ზეწოლის პრევენციას. ამ საზოგადოებაში ყველა წევრს შეუძლია მიიღოს მასში სრულყოფილად მონაწილეობისა და პოტენციალის გაზრდის შესაძლებლობა.

1. ***ხალხის პატივისცემა***

თითოეული ადამიანი პიროვნებაა და მისი უფლებები უნდა იქნას პატივცემული და დაცული. პატივისცემა ძალისხმევით აღავსებს სხვებსაც, რათა დაიცვან საკუთარი უფლებები და აიმაღლონ პოტენციალი. სხვა ადამიანების უფლებების პატივისცემა წარმოადგენს საფუძველს იმისას, რითაც ინდივიდები საზოგადოების წევრები ხდებიან და იღებენ თავიანთ სოციალურ ვალდებულებებს რათა იმოქმედონ სამართლიანად და სუფთად.

2. ***პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა***

პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობის აღების პრინციპი მოითხოვს არა მარტო იმას, რომ ხალხმა შეწყვიტოს ერთმანეთისა და სხვათა საკუთრებისათვის ზიანის მიყენება, არამედ ასევე მათი მხრიდან ზრდილობიანი მოქცევის გამომჟღავნებას და იმ სტანდარტების მიყოლას, რომლებიც უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა წევრს მოეთხოვება საზოგადო სიკეთის მიღების მიზნით. ზემოხსენებული ქმედებით ისინი დაიცავენ სხვის უფლებებს და პატივს მიაგებენ განსხვავებულ კულტურებსა და ხალხებს. მას, ვინც საკმაოდ ძლიერია საკუთარი უფლების დასაცავად გააჩნია შესაბამისი მოვალეობა განახორციელოს ზრუნვა მათ მიმართ, რომელთა კეთილდღეობაც სწორედ მათზეა დამოკიდებული. ეს პრინციპი შეიცავს სახსრების, რესურსებისა და გარემოებათა გაძღოლას.

თუ კონფლიქტი მაინც წარმოიქმნება პერსონალის წევრების და სტუდენტების პირადი ინტერესების ან უნივერსიტეტთან მათი მოვალეობის საკითხებში – ეს უნდა შეატყობინონ უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურას. თუ შესაძლებელია, არც პერსონალის წევრებმა და არც სტუდენტებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც შეიძლება ასოცირებულ იქნას ამ საკითხთან და შემოიფარგლონ მხოლოდ სიტუაციის განმარტებითა და კონფლიქტთან მიმართებაში საკუთარი შეხედულების გამოხატვით.

<u>II. ქცევის კოდექსი</u>

ქცევის კოდექსი ეფუძნება მორალურ კოდექსში მითითებულ პრინციპებსა და დირებულებებს. იგი წარმოადგენს იმ ქცევის წესებისა და დირექტივების ფორმულირებას, რაც განსაზღვრავს GAU ევრებისთვის მიღებულ სპეციფიურ პროცედურებსა და მოქმედებებს.

ეს კოდექსი განკუთვნილია GAU ველა წევრისთვის – პერსონალისა თუ სტუდენტებისთვის. კონტრაქტორები, მუშაკები და წარმომადგენლები და ასევე ვიზიტორები, რომლებიც ჩართულნი არიან უნივერსიტეტთან დაკავშირებულ ნებისმიერ

საქმიანობაში უნდა იქცეოდნენ კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად და ინფორმირებულ უნდა იყვნენ ამის შესახებ.

1. სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა

ობიექტურობა სამუშაოსა და პროგარმების მიღების დროს

GAU ცდილობს მოშალოს ნებისმიერი ბარიერი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მუშაობის (სწავლის) პირობებს და მომსახურების განხორციელებას.

GAU აშკარად ცდილობს შექმნას დისკრიმინაციისგან თავისუფალი, თანაბარი შესაძლებლობების გარემო სტუდენტებისა და პერსონალისთვის, რათა მათ შეძლონ თავიანთი მიზნების ხორცშესხმა და პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება საუნივერსიტეტო მისიის განსახორციელებლად.

შევიწროება/აგრესია

გაუ-ს მიზანია უნივერსიტეტში შექმნას აგრესიისგან და ზეწოლისგან თავისუფალი გარემო. შევიწროების ისეთი ფორმები, როგორიცაა სექსუალური ზეწოლა, რასიზმი ან დაშინება მიუღებელია ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისათვის. ნებისმიერი შევიწროება საზიანოა ორგანიზაციული ეფექტურობისთვის და შეიძლება იყოს კანონ საწინააღმდეგოც. საუ-მ შეიმუშავა შემდეგი *თანაბარი შესაძლებლობების მემორანდუმი:*

GAU-ს მიზანია შექმნას, როგორც მუშაობის, ასევე სწავლის თანაბარი შესაძლებლობები და პირობები. იგი თავის ვალდებულებად მიიჩნევს შექმნას დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემო და დაარწმუნოს ყველა იმაში, რომ სიკეთე არარელევანტური კრიტერიუმებისგან დამოუკიდებლად მოქმედებს. და ბოლოს – უნივერსიტეტის ძალისხმევით მისი სტრუქტურა აბსოლუტურად თავსუფალია პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციისგან ყველა ასპექტში (სექსუალური, რასული, რელიგიური, ოჯახური და ა.შ).

აკადემიური თავისუფლება

აკადემიური თავისუფლება აღიარებულია და დაცული საუ-ს მიერ; უნივერსიტეტი მიიჩნევს მას, როგორც სწორად სწავლების, გამოკვლევისა და ერუდიციის აუცილებელ პირობას. სასწავლო და კვლევითმა პერსონალმა უნდა იხელმძღვანელოს გამოკვლევათა თავისუფლად განხორციელების სურვილით და გამოიყენოს თავისი ტრადიციული უფლებები, რათა შეამოწმოს სოციალური ღირებულებები და გააკრიტიკოს საზოგადოების ნდობის სტრუქტურა სწავლის მიმართ პატიოსანი და საპასუხისმგებლო კვლევის ასპექტში. ამ კონტექსტში სტუდენტები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ქმედებებში უნივერსიტეტის კედლებს შიგნით.

GAU-ს ემსახურება რწმენას, რომლის მიხედვითაც ინტელექტუალური აზროვნების და კვლევების, ასევე აზრთა გაზიარების თავისუფლებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის მისიის მიღწევის საკითხში; საუ ყველაფერს იღონებს რათა დაიცვას პერსონალიცა და სტუდენტებიც ამ თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი მცდელობისგან.

პროფკავშირის წევრობა

GAU -ს შტატის წევრები უფლებამოსილნი არიან გაერთიანდნენ პროფკავშირში და თავიანთი სურვილისაებრ გადაწყვიტონ მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ამ კავშირის საქმიანობაში. ამგვარადვე ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ უფლება ჩამოაყალიბონ და შეუერთდნენ სტუდენტურ გაერთიანებებს ან ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა ეთანადება ამ კოდექსის ძირითად პრინციპებს.

უკმაყოფილება

GAU -ს პერსონალსა და სტუდენტებს გააჩნიათ სამართლიანი ჩივილის უფლება. თუმცა, თანამშრომელბს და სტდენტებს ეკრძალებათ და არ იქნება წახალისებული მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ საპროცესო საქმიანობაში, რომელიც დაარღვევს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ნორმალურ საქმიანობას და ხელს შეუშლის სასწავლო პროცესს. ნებისმიერი ასეთი პროცესი გადაეცემა დისციპლინარულ საბჭოს. საჭირბოროტო მოთხოვნებით უნდა მიმართოთ პასუხისმგებელ დეკანს ან ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის თანამშრომელს, წერილობით ან სიტყიერად.

კანონიერი მორჩილება

GAU-ს ყველა წევრი ვალდებულია დაემორჩილოს ნებისმიერ საკანონმდებლო და ინდუსტრიულ მოთხოვნას, ასევე უნივერსიტეტის წესებსა და დებულებებს.

2.0 ხალხის პატივისცემა

2.1 სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება

უნივერსიტეტის შტატის წევრებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა თავიდან აიცილონ ან შესაბამისი რეაგირებით შეხვდნენ იმ სიტუაციებს, რომელშიც შეიძლება წარმოიშვას სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება, რამაც თავის მხრივ, შეიძლება პირდაპირ ან ირიბად დააზიანოს უნივერსიტეტის რეპუტაცია და წარმატება, ან შეაფერხოს მათი ვალდებულებების შესრულება. ზემოხსენებული სიტუაციის წარმოქმნისას შტატის წევრებმა საქმის კურსში უნდა ჩააყენონ უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურა. სხვაგვარად, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების გაგრძელების ფაქტმა შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინარული სასჯელი.

ურთიერთობათა მაგალითები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებას შემდეგია: ოჯახური ურთიერთობები, პოზიტიური და ნეგატიური ემოციური ურთიერთობები, ასევე ფინანსური ურთიერთობები.

2.2 საჩუქრების მიღება და სარგებლის ძიება

GAU-ს პერსონალმა არ უნდა მოითხოვონ საჩუქარი და არ უნდა წაახალისონ ვინმე ასეთ ქმედებაზე, თუ აშკარაა, რომ ასეთი ქმედება მიმართულია პერსონალის მხრიდან რაიმე კონკრეტული ქმედების შესრულებისკენ იგი გავლენას მოახდენს მათ რეპუტაციაზე, მაკომპრომიტირებელი იქნება და გავლენას იქონიებს მათ ოფიციალურ სტატუსზე. მათ შორის მნიშვნოლევანია მიღებ/ჩარიცხვის და შეფასების პერიოდი.

საჩუქრები ან ნომინალური თანხა (20 ლარის ქვევით) გამოყენებული სარეკლამო მიზნებისთვის დონორის ან სხვა ვინმეს მიერ სოციალური და კულტურული პრაქტიკის შესაბამისად, დასაშვებია. პერსონალის მიერ მიღებული საჩუქრების შესახებ ინფორმაცია უნდა ჰქონდეს დეკანს.

2.3 კონფიდენციალობა

შტატის იმ წევრებმა, რომლებსაც მიდგომა და შეხება გააჩნიათ უნივერსიტეტის დოკუმენტაციასთან უნდა საიდუმლოდ შეინახონ შესაბამისი ინფორმაცია. მათ ასევე ევალებათ ზეპირი საუბრების გასაიდუმლოება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

ასევე კონფიდენციალური და გასაიდუმლოებულია პერსონალისა და სტუდენტების პირადი საქმეები. ეს უკანასკნელნი მშვიდად უნდა იყვნენ, რომ ინფორმაცია მათ შესახებ შესაბამისადაა დაცული. შტატის წევრებს უფლება აქვთ წარუდგინონ იგი მხოლოდ დეკანს ან მის უფლებამოსილ პირს და მხოლოდ აკადემიური მიზნებისთვის. სხვაგვარ ქმედებას პერსონალის მხრიდან მოსდევს მკაცრი დისციპლინარული სასჯელი.

2.4 ინტელექტუალური საკუთრება

ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის გამოგონებები და საავტორო უფლებები სამუშაოს სხვადასხვა დარგში, აღიარებულია GAU-ს მიერ. ფორმალური სტუდენტური და პირადი ქირაობის შეთანხმებები უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას შექმნილს უნივერსიტეტის სახელით.

გაუ ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს სამართლიანი ანაზღაურება ინტელექტუალური საკუთრების ავტორებისთვის და უნივერსიტეტისთვის წახალისებითა და პრემიით.

პერსონალური და პროფესიული პასუხისმგებლობა

პირადი განვითარება

საკუთარი ცოდნის მუდმივად განვითარება მთელი შტატის მოვალეობაა. ისინი გამუდმებით უნდა ცდილობდნენ გააუმჯობესონ მოღვაწეობის ხარისხი. სტუდენტებმა კი უნდა ეცადონ მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი ათვისების შესაძლებლობები საუ-ში ყოფნის პერიოდში.

გარე დასაქმება და კერძო პრაქტიკა

შტატის წევრების მიერ, თავიანთი საქმიანობის სფეროში, განხორციელებული პროფესიული და საკონსულტაციო სამუშაო სარგებლის მომტანია როგორც თვით უნივერსიტეტისთვის, ასევე ინდივიდისა და საზოგადოებისთვის. თუმცა, იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს უნივერსიტეტის ინტერესებს და დამტკიცებულ უნდა იქნას წერილობით საუ-ს შესაბამისი წარმომადგენლის მიერ ფორმალური სამუშაო შეთანხმების შესაბამისად.

საზოგადო შენიშვნა

საზოგადო შენიშვნა ითვალისწინებს საზოგადო სასაუბრო შეხვედრებს და კომენტარებს რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, ასევე შეხედულებების გამოხატვას გაზეთის, წიგნის ან ჟურნალის ფურცლებზე, ანუ ისე, რომ მოხდეს საზოგადოებისთვის მისი ფართოდ მიწოდება.

შტატის წევრები წახალისებულ არიან იმაზე, რომ აწარმოონ კომენტირება ღიად. ამასთან, მანამ სანამ გაკეთდება რაიმე საჯარო განცხადება ქართულ-ამერიკული

უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით, თანამშრომლებმა უნდა აცნობონ უნივერსიტეტის შესაბამის ოფიცერს. როდესაც ისინი წარმოადგენენ GAU-ს მათ მოეთხოვებათ ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების უმაღლეს დონეზე გამომჟღავნება. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის თანამშრომლებს ეკრძალებათ ნეგატიური კომენტარი გააკეთონ GAU-ს კონკურენტებზე.

შტატის წევრებს, როგორც კერძო მოქალაქეებს, აქვთ საზოგადოდ კომენტირების უფლება. თუ შტატის წევრის მიერ ხდება ისეთი საკითხების კომენტირება, რომლებიც არ ეხება მათ პროფესიულ საქმიანობას, მაშინ მათ უნდა განაცხადონ, რომ კომენტარი კეთდება კერძოდ მათი მხრიდან და არა უნივერსიტეტის სახელით.

უნივერსიტეტის შენობებისა და მოწყობილობების გამოყენება

GAU-ს წევრებს, მათ შორის სტუდენტებს აქვთ უფლება გამოიყენონ უნივერსიტეტის შენობები და მოიხმარონ მისი ინვენტარი ფრთხილად, დანიშნულებისაებრ და პატიოსნად. უნდა მოხდეს რესურსების ეკონომიკურად გამოყენება, მათი დაცვა ქურდებისგან და გაფლანგვისგან. მათი მოხმაერბა არ უნდა მოხდეს პირადი მიზნებისთვის თუ ამ უკანასკნელზე არ არსებობს უნივერსიტეტის შესაბამისი ნებართვა.

კვლევათა ეთიკურად წარმოება

უნივერსიტეტის ექსპერტები, ჩართულნი კვლევით საქმიანობაში, ამჟღავნებენ ეთიკური სტანდარტების მაღალ დონეს და მოქმედებენ შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილი მოქმედების წესების შესაბამისად.

ფაკულტეტის ვალდებულება

ფაკულტეტის წევრებმა ყოველ სემესტრში უნდა შეახსენონ სტუდენტებს მორალისა და ქცევის კოდექსის შესახებ და შეიძლება მოსთხოვონ მათ ხელი მოაწერონ დადგენილებას იმის შესახებ, რომ ისინი მისდევენ ამ კოდექსს.

აკადემიური პატიოსნების ხელშეწყობის მიზნით, ფაკულტეტის ინსტრუქტორებმა და მათმა ასისტენტებმა უნდა განახორციელონ ისეთი საქმიანობა, რომელიც აღმოფხვრის ან შეამცირებს აკადემიური დარღვევების შემთხვევებს. ფაკულტეტის ყველა წევრმა უნდა განახორციელოს შემდეგი:

ა. <u>დაამტკიცოს აკადემიური (სასწავლო) პატიოსნების მნიშვნელობა</u> – უმაღლესი განათლების დაწესებულებები სწორედ სიმართლის ძიებას ემსახურება. ფაკულტეტის წევრებმა უნდა დაამტკიცონ, რომ სიმართლის სამსახური წარმოადგენს ძირითადი ღირებულებების, მათ შორის სიბეჯითის, ზრდილობისა და პატიოსნების, საფუძველს.

ბ. <u>სწავლის სიყვარულის დანერგვა</u> – დაინტერესება აკადემიურ პატიოსნებაში ძლიერდება მაღალი სასწავლო სტანადრტებით. სტუდენტების უმრავლესობა იმ გარემოში ჩამოყალიბდება პიროვნებად, სადაც აკადემიური (სწავლების) სამუშაო აღიქმება, როგორც სასარგებლო, წმინდა და გამომწვევი.

გ. <u>სტუდენტებთან თანასწორუფლებიანი მოპყრობა</u> – ფაკულტეტის წევრები უნდა მოექცნენ სტუდენტებს თანასწორუფლებიანად, ინდივიდუალური ყურადღებითა და გულისხმიერებით. სტუდენტების საპასუხო რეაქცია კი მასწავლებლების საუკეთესო ღირსებების დაფასება და აკადემიური პატიოსნებით დაინტერესებაა.

დ. <u>საკლასო ოთახებში ურთიერთნდობის გარემოს შექმნა</u> – სტუდენტების უმრავლესობა მოწიფული მოზარდები არიან და აფასებენ ისეთ გარემოს, სადაც არ არის არბიტრალური წესები და სადაც ნდობის ფაქტორი არსებობს.

ე. <u>დანერგონ სტუდენტში პასუხისმგებლობა აკადემიური პატიოსნების მიმართ</u> – შესაბამისი დირექტივებით სტუდენტებს უნდა მიეცეთ მნიშვნელოვანი

პასუხისმგებლობა იმისა, რომ მათ დაიცვან და შექმნან აკადემიური პატიოსნების მაღალი სტანდარტები. სტუდენტებს უნდათ ისეთ საზოგადოებაში მუშაობა, სადაც კონკურენცია არის სუფთა, პატიოსნება პატივცემული, ხოლო ყალთაბანდობა დასჯილი. მათ ესმით, რომ უმთავრესი მიზეზი აკადემიური უსამართლობისა არის გაუთვიცნობიერება ამ საკითხისა და გაუაზრებლად მოქმედება.

ვ. <u>სტუდენტებისთვის მოლოდინის განმარტება</u> – ფაკულტეტის წევრების პირველად ვალდებულებას წარმოადგენს საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და გამოცდილება. მათ უნდა განმარტონ თავიანთი მოლოდინი წინასწარ, აკადემიური სამუშაოს პატიოსნებასთან მიმართებაში, სტუდენტების თანამშრომლობის ბუნებისა და მოცულობის ჩათვლით. ბევრ სტუდენტს მოსწონს ასეთი ხელმძღვანელობა და სიამოვნებით იღებენ მას კურსის განმავლობაში თავიანთი მასწავლებლებისგან.

ზ. <u>შეფასების სამართლიანი და არსებითი ფორმების განვითარება</u> – სტუდენტებს იმედი აქვთ, რომ მათი აკადემიური სამუშაო სრულყოფილად და სამართლიანად იქნება შეფასებული. ფაკულტეტის წევრები გამუდმებით უნდა მუშაობდნენ შეფასების ფორმების გადასინჯვაზე, რაც აქტიურ და შემოქმედებით აზროვნებას მოითხოვს.

თ. <u>აკადემიურ უსამართლობაში ჩართვის შესაძლებლობების შემცირება</u> – პრევენცია აკადემიური უსამართლობისგან დაცვის კრიტიკული ხაზია. სტუდენტებს არ უნდა გაუჩნდეთ აკადემიურ უსამართლობაში გარევის შესაძლებლობა საეჭვო გარიგებებით, თანამშრომლობის განუსაზღვრელი სტანდარტებით, არაადეკვატური საკლასო მენეჯმენტით ან სუსტი საგამოცდო დაცულობით.

ი. <u>აკადემიური უსამართლობის გამოწვევა მისი წარმოქმნის შემთხვევაში</u> – სტუდენტები ხედავენ თუ როგორ იქცევიან ფაკულტეტის წევრები და რა ღირებულებებს აფასებენ. ფაკულტეტის წევრები, რომლებიც იგნორირებას უკეთებენ აკადემიურ უსამართლობას გზავნიან შეტყობინებას, რომ აკადემიური ცხოვრების ძირითადი ღირებულებები, და საზოგადოების ცხოვრება ზოგადად, არ იმსახურებს ძალდატანების არანაირ მნიშვნელოვან მცდელობას.

კ. <u>საუნივერსიტეტო აკადემიური სამართლიანობის სტანდარტების მხარდაჭერა და განსაზღვრა</u>

4.0 აკადემიური სამართლიანობა

საუ მოითხოვს აკადემიური სამართლიანობის უმაღლეს სტანდარტებს. შემდეგი წარმოადგენს აკადემიური უსამართლობის აკრძალულ მაგალითებს:

ა. <u>პლაგიატი</u> – პლაგიატი წარმოადგენს სხვისი სამუშაოს, იდეის ან სიტყვების გამოყენებას უფლებამოსილების გარეშე. პლაგიატი შეიძლება იყოს სხვისი სიტყვების გამოყენება ბრჭყალების გარეშე. ასევე შეიძლება იყოს გამოყენებული წყაროების დამახინჯება. პლაგიატი არსებობს სამუშაოს ნებისმიერ ფორმაში გარდა გამოცდისა, წერილობითი ნაშრომისა, კომპიუტერული პროგრამისა და ფოტოგრაფიისა.

ბ. <u>შეუსაბამო თანამშრომლობა</u> – აკადემიური მუშაობისას ვიწრო თანამშრომლობა აღიარებას მოითხოვს. შეუსაბამო თანამშრომლობა ითვალისწინებს ვიღაცასთან ურთიერთობას რაიმე პროექტში მისი დახმარების აღიარების გარეშე. სპეციფიური კურსი თანამშრომლობით მუშაობასთან, მეგობრულ შემოწმებასთან, კერძო გაკვეთილებთან ან რედაქტირებასთან მიმართებაში შეიძლება შეიცვალოს ინდივიდუალურ პედაგოგთან დაკავშირებით.

გ. <u>უსამართლობა გამოცდების დროს (კლასში თუ სახლში)</u> – გამოცდაზე განიხილება ცალკეული სტუდენტის პირადი ნაშრომი, შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მხოლოდ ინსტრუქტორის დირექტივა. გამოცდაზე სტუდენტებს ეკრძალებათ ერთმანეთთან ურთიერთობა ან წიგნების და ფურცლების გამოყენება გარდა ცალკეული ნებადართული შემთხვევებისა. ყალთაბანდობაში იგულისხმება სხვისგან გადაწერა; არაუფლებრივი დახმარება; საგამოცდო კითხვების წინასწარ ცოდნა; მექანიკური საშუალებების გამოყენება. სპეციფიური კურსი გამოცდებთან მიმართებაში შეიძლება შეიცვალოს ინდივიდუალურ პედაგოგთან დაკავშირებით.

<u>დ.უსამართლობა ნაშრომში</u> – სტუდენტებს ეკრძალებათ სხვა პიროვნების ან კომპანიის მიერ მომზადებული მასალის წარდგენა. წარდგენილი მასალა უნდა წარმოადგენდეს სტუდენტის პირად ნაშრომს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (იხილეთ ა და ბ)

<u>ე. ნაშრომი შესრულებული ერთი კურსის პერიოდში და წარდგენილი სხვა ეტაპზე</u> – სტუდენტებს არა აქვთ უფლება წარადგინონ ერთი და იგივე ნაშრომი სხვადასხვა კურსზე. გამონაკლის შემთხვევებში, ფაკულტეტის წევრებს შეუძლიათ დაუშვან გამოკვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი რათა დააკმაყოფილონ მოთხოვნა ორ კლასში. თუმცა ორივე პედაგოგი წინასწარ უნდა შეთანხმდნენ ამ საკითხზე. წარადგენენ რა თავიანთ წინა ნაშრომს ამჟამინდელ პროექტში სტუდენტებმა აუცილებლად უნდა დააფიქლირონ ეს ფაქტი.

ვ. <u>მონაცემების განზრახ გაყალბება</u> – სტუდენტებს ეკრძალებათ მონაცემების ან საკურსო ნაშრომების დოკუმენტაციის განზრახ გაყალბება.

ზ. <u>ჩარევა სხვა სტუდენტის საქმეში</u> – სტუდენტებს ეკრძალებათ განზრახ ჩარევა სხვა სტუდენტის საქმეში. მაგ: ლაბორატორიული ექსპერიმენტების და კვლევების დროს მავნებლობა, არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან საკლასო სამუშაოს დარღვევა.

თ<u>. საავტორო უფლებების დარღვევა</u> – საავტორო უფლება უნდა იყოს დაცული. ამ უფლებებში შედის შემდეგი: ამონაბეჭდი მასალები, გამრავლებული კომპიუტერული პროგრამები, ფოტოდუპლიკატირებული საავტორო მასალები და აუდიო-ვიზუალური ნამუშევარი.

ი. დაუშვებელია GAU-ს თანამშრომლების ან პროფესურის მიერ სტუდენტის შეფასების შეცვლა გარდა შემთხვევით დაშვებული შეცდომისა.

5.0 სპეციფიკური ქცევის კურსი

GAU-მ შეიმუშავა შემდეგი სპეციფიკური დადგენილებები:

ა. **ჩაცმის კოდექსი** – GAU-ს არ გააჩნია მკაცრად განსაზღვრული ჩაცმის კოდექსი პერსონალისა და სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის გარემო უბიძგებს მათ შემოქმედებითობისა და პატივისცემისკენ. სამოსი უნდა იყოს კომფორტული და იმავდროულად არ უნდა იზიდავდეს სხვის ყურადღებას. თუმცა ტანსაცმელი უპატივცემულო ან არაშესატყვისი წარწერით (ლოზუნგით) არ დაიშვება. მამაკაცებმა არ უნდა ატარონ ქუდები ან კეპები შენობაში, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად ნებადართული შემთხვევებისა (უნდა იქნეს უნივერსიტეტის ექიმის ნებართვა).

ბ. **ალკოჰოლი** – გარდა GAU-ს ადმინსიტრაციის მიერ ნებადართული შემთხვევებისა იკრძალება უნივერსიტეტში ალკოჰოლის შეტანა და მოხმაერბა.

გ. **ნარკოტიკები** – GAU ახორციელებს დასჯის მკაცრ პოლიტიკას ნაკოტიკების მიმართ (თუ ეს უკანასკნელი ექიმის მიერ არ არის გამოწერილი) და კრძალავს მათ მოხმარებას თუ გაყიდვას საუ-ს ტერიტორიაზე.

დ.იარაღი – GAU კრძალავს ნებისმიერი საგნის გამოყენებას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს იარაღის დანიშნულება და ზიანი მიაყენოს სხვა პიროვნებას ან საკუთრებას, მაგ: დანა, თოფი ან რაიმე ფეთქებადი ნივთიერება.

<u>ფ. **მოწევა**</u> – GAU “არამწეველ” დაწესებულებას წარმოადგენს; შესაბამისად მოწევა ნებადართულია მხოლოდ გარეთ, ასევე აივნებსა და ტერასებზე.

6.0 დისციპლინარული სასჯელი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები, რომლებიც დაარღვევენ მორალისა და ქცევის ამ კოდექსს შემდეგ ქმედებებს ექნება ადგილი:

1. დაუყონებლივი გათავისუფლება, დამოკიდებული დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებაზე. (იხილიეთ ქვემოთ).

2. დაუყონებელი წერილი საბჭოს.
3. მცირე დარღვევისათვის.

პირველი დარღვევის შემთხვევაში – წერილობითი გაფრთხილება, რომელიც ჩაიდება მათ პირად საქმეში.

მეორე დარღვევის შემთხვევაში - წარსდგებიან GAU-ს -ს პრეზიდენტის მიერ ჩამოყალიბებული სამეთვალყურეო კომისიის წინაშე. სტუდენტების შემთხვევაში, ზემოხსენებულ კომისიაში წარმოდგენილ იქნებიან ასევე სტუდენტური ორგანოების წარმომადგენლები. პროფესურის შემთხვევაში ფაკულტეტის ერთერთი წევრი იქნება წარგენილი.

კომისიის დასკვნის მიხედვით თუ დადგინდა, რომ რაიმე დარღვევას მართლაც ჰქონდა ადგილი, გაუ უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი დისციპლინარული სასჯელი, მაგალითად ისეთი როგორიცაა უნივერსიტეტიდან გარიცხვა. თუ დანაშაულით ირღვევა საქართველოს კანონი, ამის შესახებ ინფორმირებულ იქნებიან შესაბამისი ორგანოები.

ვადასტურებ, რომ სრულყოფილად გავეცანი, გავიგე და ვალდებულებას ვიღებ დავიცვა აქ მოცემული მორალისა და ქცევის კოდექსი.

თანამშრომლის, ლექტორის ან სტუდენტის ხელმოწერა _____

თარიღი _____-

GAU-ს ადმინისტარციის წარმომადგენლის ხელმოწერა _____